მდინარე რიონის ჩამონადენის მოდელირება

ნინო თხილავა
ელ-ფოსტა: nino.tkhilava704@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

წყალდიდობა/წყალმოვარდნების პროცესი, რაც განპირობებული მრავალი სხვადასხვა დაუდგენელი ფაქტორით, აბსოლიტური სიზუსტით ვერ იქნება შეფასებული. მაგრამ აქამდე არსებული გათვლები გვაძლევს საუძველს ვივარაუდოთ, რომ არსებული ამოცანები შესაძლოა გადაწყვეტილ იქნას პრაქტიკული გამოყენებისთვის საკმარისი მიახლოებით.

წარმოდგენილ ნაშრომში, წყალმოვარდნების კატასტროფული ხარჯების პროგნოზირების მეთოდის შესამუშავებლად გამოყენებულია მდინარე რიონის ჩამონადენის მათემატიკური მოდელირება. კატასტროფული წყალმოვარდნების მახასიათებლების პროგნოზირებისთვის მნიშვნელოვანია დროის გარკვეულ პერიოდში პიკური ხარჯების წარმოქმნის საშუალო რიცხვის, პიკური ხარჯების სიდიდის, მათი საშუალო ხანგრძლივობის და კატასტროფულ ხარჯებს შორის საშუალო ინტერვალის დადგენა. ჩამოთვლილი საკითხების და მათთან დაკავშირებული სხვა მოვლენების გადაწყვეტა წარმოადგენს ჰიდროლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას.